# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება

N 25
21/09/2016

25-08-4-201609211641

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლების შესაბამისად

**საკრებულო ადგენს:**

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28.07.2014წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016200 ) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**მუხლი 1.**

დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს მე-$15^1$ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი $15^1$. გამგებლის წარმომადგენლების მიერ ბავშვის დაბადებისა და პირის გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება.

1.,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ახორციელებს:

ა) თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ, დაბადების შესახებ სამედიცინო

ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე, დაბადების რეგისტრაციის თაობაზე მიმართავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, დაბადების თაობაზე შეტყობიდან 1 თვის ვადაში.

ბ) პირის გარდაცვალების შემთხვევაში, პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღრული წესის შესაბამისად, ადგენს ოქმს პირის გარდაცვალების შესახებ და მიმართავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე, ასევე, თუ არ აქვს საკმარისი და უტყუარი ინფორმაცია პირის გარდაცვალების ფაქტის შესახებ და შეუძლებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის ოქმის შედგენა, დაევალოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე ოქმის შედგენის გარეშე შეტყობინება.

**მუხლი 2**. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა